FS 1014

ეროვნული ბიბლიოთეკა

1017/IV
ჰ. 12° 592
ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლ ე ქ ს ი

# აბრაყუნესი

თქმული

გ ო მ ე ლ ი ს ა

თბილისი

გრ. ჩარკვიანის სტამბა

1885

899.962.1-1
ეროვნული ბიბლიოთეკა

„აზრამუხე...-ს ლექსი

აგვისტოს თორმეტსა
გულმა მიწყო სტომაო
სიცოცხლე მამილოცუბლა
მტრის დამუქრებამაო

იმ დღეს გული დარდიანმა
დავიწყე ჩუმრობაო
ზურნითა ორგანითა
ლხინი თამაშობაო

იქვე აწ დამიძახა
იაკოფ აქ მოდიო
ვიფიქრე თუ რა უნდა
ავდექ და მივედიო

ჩოხის ქვეშ ხანჯლიანი
თურმე იქა დგას ნელა
ჩემის ცოდვით სამსემა
სწრაფათ მსე დამიბნელა

F 381/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავიყვირე მიშველეთ
მშველელი არსად იყო
მუხთალმა მე სიცოცხლე
ზედ შუაზედ გამიყო

ბოლოს მოცვივდა ხალხი
დაიძახეს უშველოთ
ხომ ხედავთ კაცი კვდება
როგორ რითმე უშველოთ

აბა ესე საჩქაროთ
წამალი სად ვიშოვნოთ
ფაიტონს დაუძახეთ
ექიმთან წავიყვანოთ

სამკურნალო სახლშია
ვაგლახით წამიყვანეს
ნაცნობმა მეგობრებმა
ცოტახანს კიდევ მნახეს

4 (IX-19). 5.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რამწავ მნახა ექიმმა
იმწავ ეცვალა ფერი
მაშინათვე შამატყო
ვერ მარგებს ვერაფერი

რავქნა ბოროტის ხელმა
ეს ბედი მამაყენა
ხანჯალი მკრა მუცელში
პირი დამალებინა

უპურ-მარილო ურცხვი
პოლიცაში გარბოდა
კაცის კვლა შემამენთხვა
თვითონ ეუბნებოდა

ციხესაკენ თავი უკრეს
მით კარგს რას მოელოდა
ეს რა ღმერთი გამიწყრა
თითონვე ლონდებოდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩემ დუქანში ქეიფი
არავის სწყინდებოდა
ფულიანს უფულოსა
ვისაც ესურვებოდა

გამლელი გამომვლელი
ყველანი მე მიცნობდა
ამითი ვიყავ ცუდი
რომ ძმა კაცი მიყვარდა

ჩემი მცირე კაცობა
შემდეგში გაიგება
ჩემსა ძმობილს ბიჭებსა
ყველას მოაგონდება

ადრე სწორეთ ამ დროსა
,,აბრაგუნე" დამარქვეს
საკუთილო არ იყო
სუ მუდამ რომ იძახეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჰ რა ცუდი ყოფილა
მშავ სახელის გატყესა
მტერმა ჩემი სიკვდილი
ადვილად მოახერხა

მეზურნე მეარღნეები
მრიელ დაღონდებიან
თუ გაიგეს რო მამკლეს
კიდეც ასტირდებიან

რა ბინა მოგვეშალა
ბევრჯელ ამას იტყვიან
დამარხვაზედ ყველანი
ერთათ შეგროვდებიან

გაზაფხულ აპრილის თვეს
დედა-მიწა ამწვანდება
ჩემსა ძმა კაცებს მეგობრებს
ყველას მოგაგონდება

F 381/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმტყენი კი ვიცოცხლე.
ტყერტყერა დავიბარე
ახსარება უთხარი
და სული მივაბარე

კაცო ეს რა შავიტყვე
„აბრაგუნე“ მოკვდაო
„აბრაგუნ“-ეს რა მოკლავს
თუ არავინ მოკლაო

განა დანაშაული
მას ვისთანმე ჰქონია
გაჯავრებული გულით
ან თუ ვინმე ჰყოლია

იმისთანა ხუმარა
ჯერაც არა გვყოლია
ვის მოუკლავს შეჩვენებული
როგორ გაუმეტნია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ქვეყნის სიცოცხლე
ჩანს რო სულ ვაგლახია
ქეიფი და სუმრობა
სულ მწარეთ სჩვენებია

ქონება და ცხოვრება
ზოგისთვის უძლევია
მაგრამ ის უბედური
შავ დღეს ვერ ასცდენია

ვინც კი იმას იცნობდა
ყველას დანანებია
წავიდეთ და დავმარხოთ
ყური რას დაგიგდიათ

შანდობა მაინც უთხრათ
იმ სოფლის სტუმარია
იგი შმაგისგან მკვდარი
წუთი სოფლის მსხვერპლია

1885 აგვისტოს 29 დღესა

გომელი

FS 1014

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дов. ценз. 2 Сентября 1885 г. Тифлисъ

ეროვნული
ბიბლიოთეკა